

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №12

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

24 ივნისი 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში ლუბა გოგოძე.

სხდომა 11⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2020 წლის სხდომის

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) სარგებლობის, უფლებით, იჯარის ფორმით 15 წლის ვადით, გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

2.,,ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშოწყობის მიზნით, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო საგრანტო პროექტის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: ზაზა ოჩხიკიძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2020 წლის 24 ივნისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) სარგებლობის, უფლებით, იჯარის ფორმით 15 წლის ვადით, გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არის დაინტერესებული პირი ამ ობიექტის იჯარით აღების თაობაზე 15 წლით და საწყისი წლიური საიჯარო ქირის ღირებულება იქნება 360 (სამას სამოცი) ლარი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზაზ ოჩხიკიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო საგრანტო პროექტის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა , რომ საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისამ მოითხოვა საგრანტო პროექტის განაცხადის წარდგენა, მოვამზადეთ მოთხოვნა და წარვადგენთ კომისიაში.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე